97

47 (3)

საქმე №2ბ/135-16

# დაუსწრებელი გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

16 ივნისი, 2016 წელი ქ. თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა:**
**თავმჯდომარე - ანა გოგიშვილი**
**მოსამართლეები: ამირან ძაბუნიძე**
**გელა ქირია**

სხდომის მდივანი- ეკატერინე გოგრიჭიანი

აპელანტი - შპს [redacted]

მოწინააღმდეგე მხარე - [redacted]

დავის საგანი – თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება, მოპასუხის მიერ მისი სატრანსპორტო საშუალებისაგან მოსარჩელის ტერიტორიის გამონთავისუფლება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება

## პ ა ლ ა ტ ა მ გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს [redacted], სარჩელი მოპასუხე გურამ [redacted] მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხე გურამ გაბესკირიას მოსარჩელე შპს [redacted] სასარგებლოდ დაეკისრა 6 066 ლარის

გადახდა; მასვე ვალდებულების შესრულებამდე, 2015 წლის 12 ივნისიდან არაუმეტეს 2017 წლის 20 მაისისა, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ავტომანქანის შენახვის საზღაური დღეში 01 (ერთი) ლარის ოდენობით. მოსარჩელის მოთხოვნა ხელშეკრულების შეწყვეტის, ზიანის ანაზღაურებისა და მოპასუხის ავტოსატრანსპორტო საშუალებისგან მოსარჩელის საწყობის გამოთავისუფლების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს [redacted] და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას, 2016 წლის 16 ივნისს 12 საათზე, გამოცხადდა აპელანტის წარმომადგენელი გურამ კონტუაძე, არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე - [redacted] რომელსაც ეცნობა სხდომის დღისა და ადგილის თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და რომელსაც სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი არ უცნობებია.

აპელანტის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.

მოწინააღმდეგე მხარის - [redacted] გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო პალატა დამტკიცებულად თვლის სააპელაციო საჩივარში და სარჩელში მითითებულ შემდეგ გარემოებებს:

1. მოპასუხე [redacted] წარმოადგენს ავტომობილი [redacted] ვინ კოდით [redacted] მესაკუთრეს;
2. [redacted] მიერ ავტომობილი განთავსებულია შპს [redacted] ტერიტორიაზე (საბაჟო კონტროლის ზონა) 2012 წლის 20 მაისიდან;
3. მოპასუხისათვის 2015 წლის 11 ივნისის ჩათვლით ხორციელდება მომსახურების გაწევა ტერმინალის მიერ;
4. მხარეთა შორის არსებობს განუსაზღვრელი ვადით დადებული მიბარების ხელშეკრულება;
5. ტერმინალის მიერ დადგენილი ნიხრები შეადგენს 7 ლარს და შეადგენს 1 ლარს დღიურად;
6. მოპასუხე ავტომობილის განთავსების დღიდან არ ასრულებს ვალდებულებას და არ აქვს გადახდილი მიბარების საზღაური;

7. მოპასუხის დავალიანება 2015 წლის 11 ივნისის ჩათვლით [redacted] მიმართ შეადგენს 6066 ლარს;

8. მოპასუხე არ ახდენს საწყობის გამოთავისუფლებას და მოსარჩელეს არ ეძლევა საშუალება განკარგოს მის მფლობელობაში არსებული ტერიტორია, განათავსოს სხვა კონტრაგენტის ავტომობილი და მიიღოს შემოსავალი;

სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით ხელშეკრულების შეწყვეტის, ზიანის ანაზღაურების და სატრანსპორტო საშუალებისაგან მოსარჩელის ტერიტორიის გამოთავისუფლების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია ის, რომ მოსარჩელე წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო საწყობში მომსახურე ორგანიზაციას, საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის 21-ე და მესამე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე კი, საბაჟო საწყობში საქონლის დროებით შენახვის შემთხვევაში ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ვადა 5 კალენდარული წელია. საქონელი, რომელზედაც უკვე განსაზღვრულია სასაქონლო ოპერაცია (გარდა ექსპორტისა), პირის მოთხოვნით, შეიძლება საბაჟო საწყობში დროებით ინახებოდეს არა უმეტეს 5 კალენდარული წლისა, ხოლო ექსპორტის შემთხვევაში – არა უმეტეს 120 დღისა. კონკრეტულ შემთხვევაში [redacted] ავტომანქანა მოსარჩელის ტერიტორიაზე შევიდა 2012 წლის 20 მაისს და არ არის გასული ავტომანქანის საბაჟო საწყობში დროებითი შენახვის 5 კალენდარული წელი, მოსარჩელე ვალდებულია საბაჟო საწყობში ინახავდეს მოსარჩელის ავტომანქანას.

პალატა ვერ გაიზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ზემოაღნიშნულ დასკვნას და მიაჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნები, რომელიც არ დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ იურიდიულად გამართლებულია, რადგან მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის არსებობს მიბარების ხელშეკრულება და მათ შორის ურთიერთობის დარეგულირება უნდა მოხდეს სწორედ მიბარების ხელშეკრულების შესაბამისად სამოქალაქო კოდექსის 763-779-ე მუხლების საფუძველზე. მას ვერ შეცვლის საგადასახადო კოდექსი მიუხედავად იმისა, რომ იგი განსაზღვრავს შპს „[redacted]", როგორც საბაჟო კონტროლის ზონის, უფლებამოსილებებს. იმ ვითარებაში, როდესაც მოპასუხე მხარე არღვევს მიბარების ხელშეკრულების პირობებს, არ ათავისუფლებს მოსარჩელის ტერიტორიას მისი კუთვნილი ავტომანქანისაგან, რითაც ზიანი ადგება მოსარჩელეს, ეს უკანასკნელი არ არის ვალდებული ინახავდეს მოპასუხის ავტოსატრანსპორტო საშუალებას და მისი მოთხოვნა ხელშეკრულების მოშლის, ზიანის ანაზღაურების და მოსარჩელის ტერიტორიის გამოთავისუფლების თაობაზე სწორედაც რომ გამართლებულია.



5:50 PM
0160, გაგარინის ქ. 29ª Gagarini Str., Tbilisi 0160, Georgia
444 444 Fax: (+995 32) 2 444 174 Web: www.boa.ge

ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული დამტკიცებულად მიჩნეული გარემოებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე, 161-ე, 172-ე, 352-ე, 361-ე, 405-ე, 763-779-ე მუხლების საფუძველზე იურიდიულად ამართლებს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სახეზეა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალური საფუძველი, რის გამოც სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

კონკრეტულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ შპს [redacted] სარჩელი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნების ნაწილში [redacted] დაკმაყოფილდა, დაკმაყოფილდა ასევე შპს [redacted] სააპელაციო საჩივარიც, შესაბამისად [redacted] უნდა დაეკისროს [redacted] მიერ სარჩელზე გადახდილი დაკმაყოფილებული მოთხოვნების პროპორციული სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 247.68 ლარის ოდენობით შპს [redacted] სასარგებლოდ.

*სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 70-ე-78-ე, 230-ე, 233-ე, 235-ე, 236-ე, 237-ე, 387-ე მუხლებით და*

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს [redacted] სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო.

2. გაუქმდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. შპს [redacted] სარჩელი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დაკმაყოფილდეს და შეწყდეს შპს [redacted] და [redacted] შორის 2012 წლის 20 მაისის მიბარების ხელშეკრულება;



თბილისი 0160, გაგარინის ქ. 29ª Gagarini Str., Tbilisi 0160, Georgia
Tel: (+995 32) 2 444 444 Fax: (+995 32) 2 444 174 Web: www.hoo.ge

4. შპს „[redacted] სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდეს და გურამ გაბესკირიას შპს „[redacted]“ სასარგებლოდ დაეკისროს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ზიანის ანაზღაურება ყოველდღიურად 1 (ერთი) ლარის ოდენობით მოსარჩელის საწყობის გამოთავისუფლებამდე ავტოსატრანსპორტო საშუალებისაგან [redacted]

5. შპს [redacted] სარჩელი მოპასუხის მიერ მისი სატრანსპორტო საშუალებისაგან მოსარჩელის ტერიტორიის გამოთავისუფლების შესახებ დაკმაყოფილდეს და [redacted] დაევალოს გამოათავისუფლოს შპს [redacted] საწყობი (საბაჟო კონტროლის ზონა) მისი კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებისაგან [redacted] ვინ კოდით [redacted]

6. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

7. [redacted] დაეკისროს შპს [redacted] სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის ანაზღაურება.

8. [redacted] დაეკისროს შპს [redacted]“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 247.68 ლარის ანაზღაურება.

9. დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 10 დღის ვადაში მხარისათვის მისი ასლის ჩაბარების მომენტიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოში საჩივრის წარდგენის მეშვეობით.

**თავმჯდომარე:** **ანა გოგიშვილი**

**მოსამართლეები:** **გელა ქირია**

**ამირან ძაბუნიძე**

ასლი დედანთან სწორია
შესულია კანონიერ ძალაში
თბილისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატა
სმლკოფერა: 6
21 04 2016



ლისი 0160, გაგარინის ქ. 29ª Gagarini Str., Tbilisi 0160, Georgia
+995 322 2 444 444 Fax: (+995 322) 2 444 174 Web: www.bog.ge